



მოლაპარაკება პროგრამის თაობაზე

ს.ს.ფ.ს-თან მიმდინარეობს მოლაპარაკება პოლიტიკურ პაკეტზე რომელიც მხარს დაუჭერს საქართველოს ახალ ფინანსურ პროგრამას. ახალი პროგრამა, ორიენტირებული სიღატაკის შემცირებასა და ეკონომიკურ ზრდაზე, შეცვლის სამწლიან ESAF-ის პროგრამას რომელიც დასრულდა 1999 წელს. PRGF-ის (Poverty Reduction and Growth Facility) პროგრამა კონცენტრირებულია სიღატაკის დონის შემცირებაზე: მისი დეტალური პოლიტიკა განსაზღვრული იქნება სტრატეგიულ დოკუმენტში სახელწოდებით Poverty Reduction Strategy Paper – ანუ PRSP.

1999 წლის დეკემბერსა და 2000 წლის იანვარში ს.ს.ფ.-სთან გამართული დისკუსიები ეხებოდა 2000 წლის ბიუჯეტის მთავარ პარამეტრებს. იქნა მიღწეული შეთანხმება ბიუჯეტის მთავარი მიმართულებებზე:

- ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების არსებითი ზრდა განსაკუთრებით საწვავისა და სიგარეტის დაბეგვრიდან მიღებული შემოსავლების ხარჯზე, რაც მოითხოვს გაძლიერებულ საბაჟო ადმინისტრაციას;
- უფრო მაღალი შემოსავლები და ზომიერად გაღებული ხარჯები 2000 ფისკალური წლისათვის მოგვეცემს საშუალებას დაიფაროს დაგროვილი დავალიანების მნიშვნელოვანი ნაწილი, სადაც პრიორიტეტი მიეცემა ხელფასებს, პენსიებს და სოციალურ დახმარებებს;
- დაფინანსების მხრიდან შევთანხმდით რომ ეროვნული ბანკის მიერ ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსება შეზღუდული იქნება, და ცენტრალური ბიუჯეტის მიერ პრივატიზებიდან მიღებული შემოსავლები 70 მილიონი ლარის ზევით მიიმართება ვალის და სხვა სახელმწიფო ვალდებულებების დასაფარავად;
- ბიუჯეტი ასეთი ელემენტების გათვალისწინებით უზრუნველყოფს გაცვლითი კურსის სტაბილურობას, დაბალ ინფლაციას და დაჩქარებულ ეკონომიკურ ზრდას.

პარლამენტში წარდგენილ ბიუჯეტში გათვალისწინებულია შემოსავლების

მიზანმიმართული ზრდა და დავალიანების არსებითი დაფარვა. თუმცა პრივატიზების შემოსავლების უფრო ინტენსიური გამოყენებისა და სხვა ფინანსური წყაროების ხარჯზე, ბიუჯეტში ხარჯების მოცულობა უფრო მაღალია ვიდრე ეს ს.ს.ფ.-სთან იქნა შეთანხმებული. ყველა ბიუჯეტის წარმატება დამოკიდებულია მის შესრულებაზე. ბიუჯეტის შესრულებას სსფ-ს მორიგი მისია განიხილავს 2000 წლის აპრილ/მაისში.

მ.შ.პ-ს ახალი მონაცემები

2000 წლის იანვარში, სტატისტიკის დეპარტამენტმა გამოსცა ეროვნულ ანგარიშთა განახლებული წინასწარი მონაცემები 1996-1999 წლებისათვის. ახალი სერიული მონაცემები მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია შედგენის მეთოდის, ჩრდილოვანი ეკონომიკის და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ბიზნეს კვლევის გათვალისწინებით. შედგენის მეთოდოლოგიის გასაუმჯობესებლად ს.ს.ფ.-მ სტატისტიკის დეპარტამენტს ტექნიკური დახმარება აღმოუჩინა. ახალ მონაცემებში რეალური მშპ-ს ზრდა თითქმის იგივე დონეზეა დატოვებული, მაგრამ ნომინალური მშპ შემცირდა 30%-ით, უმთავრესად ჩრდილოვანი ეკონომიკის მოცულობის ხელახალი შეფასების გამო. ამჟამად მშპ-ს 51%-ს შეადგენს არაფორმალური სექტორი, გარდა სოფლის მეურნეობისა და სახელმწიფო სექტორებისა. იხილეთ ცხრილი 1 მონაცემებისათვის.

ს.ს.ფ.-ს სტატისტიკურ მონაცემთა ბაზა საქართველოზე

თებერვალში, ს.ს.ფ. საერთაშორისო საფინანსო სტატისტიკის ყოველთვიურ გამოცემაში შეიტანა საქართველოს სტატისტიკური მონაცემები, რომელიც მოგვაწოდა ეროვნულმა ბანკმა, სტატისტიკის დეპარტამენტმა და ფინანსთა სამინისტრომ. გამოცემაში შევიძლიათ იხილოთ შემდეგი მაჩვენებლები: ფასები, საპროცენტო განაკვეთები და გაცვლითი კურსი, ვაჭრობა, საგადასახდლო ბალანსი და მონეტარული ანგარიშები. დარჩენილი გვაქვს გამოცემის რამოდენიმე ასლი, დაინტერესების შემთხვევაში მოგვმართეთ მისამართზე tbatadze@caucasus.net.

საბჭოს ცნობები

სამშაბათს, 22 თებერვალს, სს.ფ.-ს აღმასრულებელი დირექტორთა საბჭომ მიიღო პირველი ოფიციალური ნომინაციები განმკარგულებელი დირექტორის თანამდებობაზე:

სტენლი ფიშერი, განმკარგულებელი დირექტორის პირველი მოადგილე და ამჟამად მისი მოვალეობის შემსრულებელი, წარდგენილია ხოსე პედრო დე მორას მიერ, რომელიც არის აღმასრულებელი დირექტორი ანგლოფონური აფრიკული ქვეყნებისათვის.

ეისუკე საკაკიბარა, იაპონიის ყოფილი ფინანსთა მინისტრის მოადგილე საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, წარდგენილია იუკი იოსჰიმურას მიერ, აღმასრულებელი დირექტორი იაპონისათვის.

ბ-ნი კ. კოპ ვესერი, გერმანიის ფინანსთა მინისტრის მოადგილე, შეიძლება წარდგენილ იქნეს განმკარგულებელი დირექტორის თანამდებობაზე. მისი კანდიდატურას მხარს უჭერენ ევროგაერთიანების ფინანსთა მინისტრები. ევროგაერთიანების განაცხადის მიხედვით, ფინანსთა მინისტრებმა ერთხლოვნად გადაწყვიტეს მისი ნომინაციის წარდგენა.

აღმასრულებელი დირექტორები აწარმოებენ კონსულტაციებს შესაბამისი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. მათი განაცხადი შეგიძლიათ უახლოეს მომავალში იხილოთ შემდეგ მისამართზე www.imf.org.

ბიულეტენის მიმართ შენიშვნები გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგ მისამართზე ttabatadze@caucasus.net.

ნხრილი 1. საქართველო: ეკონომიკური და ფინანსური მონაცემები

	1997	1998	1999	1999 QI	1999 QII	1999 QIII	1999 QIV	იანვ. 00 ^{4/}
გაცვლითი კურსი (ლარი/US\$) საშუალო კურსი პერიოდისათვის.	1.30	1.79	1.96	2.21	1.94	1.87	1.96	2.00
გაცვლითი კურსი (ლარი/US\$), კურსი პერიოდის ბოლოს	1.29	1.39	2.01	2.19	2.05	1.87	1.95	2.02
სამომხმარებლო ფასების ინფლაცია 12 თვის მონაცემები პერიოდის ბოლოს	7.2	10.7	19.7	19.4	20.4	20.8	17.9	8.5
რეალური მშპ მილიონ ლარში	4,505	4,795	5,594	1,168	1,527	1,562	1,337	...
მშპ-ს ზრდა (%) ^{1/}	10.8	2.9	3.0	3.0	2.9	5.1	1.1	...
	(მილიონი აშშ დოლარი)							
მთლიანი რეზერვები უცხოურ ვალუტაში	173.3	118.4	128.5	99.4	90.8	141.0	128.5	119.7
ექსპორტი (f.o.b.)	239.7	118.4	128.5	37.5	55.8	66.1	78.8	15.3
იმპორტი (c.i.f.)	943.5	884.3	602.0	137.3	152.5	143.4	168.7	48.1
	(მილიონი ლარი)							
სახელმწიფო ოპერაციები								
შემოსავლები	668.8	786.4	872.7	168.7	241.2	232.7	230.0	53.5
ხარჯები	982.4	1096.4	1249.6	271.7	319.3	317.1	341.1	80.0
დაფინანსება	313.6	310.0	376.9	103.0	78.1	84.5	111.4	26.5

ინფორმაციის წყარო: ეროვნული ბანკი, ფინანსთა სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი და სს.ფ.-ს მონაცემები

^{1/} საქართველოს მთავრობის განახლებული მონაცემები

^{2/} ვალდებულების მიხედვით

^{3/} საკასო დაფინანსებას დამატებული ხარჯების დავალიანების ცვლილება და სხვა ნაშთი

^{4/} იანვრის ფისკალური მონაცემები წინასწარია